

The Political Mission of the Literary Magazine *Tiflis Messages*

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, Russia, Empire, Conspiracy, *Tiflis Messages*,
Newspaper, Magazine, Caucasus, Solomon Dodashvili

Tiflis Messages occupies a key place in the early nineteenth-century print culture of Georgia and in debates over the role of periodicals in imperial contexts. Founded in 1828 under the aegis of the Russian administration in Tbilisi, the paper has been variously described as an instrument of colonial governance and as a contested public space in which Georgian intellectuals sought to defend local language, literature, and civic life. The research reassesses the newspaper's origins, editorial profile, and political significance, situating it within the broader dynamics of Russian imperial rule in the Caucasus while emphasising the agency of Georgian activists who used the press to articulate cultural claims and to nourish nascent national sentiment.

The myth of a kind, monotheistic Russian Empire, whose support a small country could hope for, was constantly being destroyed. The northern occupier did not treat the local population slightly better than the muslim invaders from the south. The situation became even harsher under the Russian oppression of Georgia. Their officials—frequently Russified Germans or other nationalities—were not distinguished by their education and

training. The empire sent mostly corrupt and unskilled officials to Georgia, who were less concerned with the fate of the Georgian people or the country's development. The main goal of their arrival in Georgia was enrichment and extortion. Therefore, bribery, theft from the treasury, espionage, and robbery of the population became the leading tendencies in their activities. The oppressed population was forced to constantly think about its own survival, and it was very difficult to find a decent way out of the newly established political situation of being ruled by foreign occupiers.

The task and direct goal of the officials sent from St Petersburg was to melt the Caucasus and Russia into a single organism. They spared no effort to make the population speak and think in Russian. In such a socio-political situation, the newspaper *Tiflis Messages* was launched in Tbilisi. According to the documents, the idea of its establishment belonged to the governor-general Ivan Paskevich. The notes he sent to the emperor's court show how he tried to prove the necessity of publishing the newspaper and the positive aspects of this business. According to him, the newspaper should be devoid of politics, but in reality, its publication was planned precisely as an ideological means of brainwashing the Georgian population. During Solomon Dodashvili's editorship, the newspaper operated in tension with Russian official aims yet served important local functions.

On 4 April 1828, it was announced that a weekly Russian newspaper, *Tiflisskie Vedomosti*, was being founded in Tbilisi. The first issue of the *Tiflis Messages* was published exactly three months later, on 4 July 1828. The editor-in-chief of both newspapers, *Tiflisskie Vedomosti* and *Tiflis Messages*, was Pavel Sankovsky, a Ukrainian-born writer and journalist. He published some materials about the history and traditions of Georgia. Its pages preserve valuable descriptions of Tbilisi customs and

traditions and give increased space to Georgian literature, education, and public affairs. Also, materials on agriculture, the development of natural resources, the introduction of sericulture, sending young people to study in Russia, and other issues. Propaganda materials clearly supporting the Russian government's policy in Georgia were also published. The coverage sometimes echoed imperial narratives—exaggerating Russian military prowess and depicting earlier Georgian resistance as isolated and ineffective—presenting Russian rule as having increased Georgia's security. The newspaper articles presented the current situation as if Georgia were now more protected from external enemies, thanks to the Russians. At the same time, Dodashvili and his contributors used the press to counterbalance those narratives by promoting Georgian language, history, and civic life.

In the 1820s, years before the 1832 conspiracy, Georgian conspirators recognized the political power of print media; Dodashvili's efforts to cultivate a Georgian press helped consolidate a public culture that sustained nationalist ideas. While the paper did not openly advocate insurrection, its promotion of education, language reform, and national literature contributed to the intellectual foundations of the nineteenth-century Georgian national movement and to the milieu from which the 1832 conspirators emerged.

Any periodical publication would have been advantageous for the conspirators. When assessing the 1832 conspiracy, Professor of History, Mikhail Polievktov, considered the main mission of the conspirators to boost the “moral renewal” of the Georgian people, which would have been impossible without a periodical. The Georgian press had to fight Russian aggression and annexation together with the conspirators.

Under Dodashvili, the paper was distinguished from the Russian *Tiflisskie Vedomosti*: he redirected content and style toward a more Georgian register and began publishing Georgian works and critical pieces. For example, the paper drew attention to Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*, arguing that Rustaveli lacked the fame accorded to Homer. It also prioritized coverage of educational issues and argued for their centrality to Georgian society.

Dodashvili worried about linguistic erosion: he lamented the influx of Russian and Persian loanwords and worked to refine the Georgian literary language and the paper's prose style. The newspaper frequently published literary and critical works informed by national sentiment, often employing allegory and classical fable to convey dissent subtly under censorship. In this way, it expressed patriotic attachment to the homeland, the importance of preserving language and history, and the aspiration for greater autonomy.

The biweekly literary addition of the newspaper, *Literary Section of Tiflis Messages*, was published in January 1821. A total of six issues were issued. Only five have survived to this day. *Literary Section of Tiflis Messages* is considered the first Georgian magazine in the history of national journalism. Its editor and publisher was Solomon Dodashvili. The magazine presented poems, translations, materials from the history of literature and criticism, studies on the history of the East, and statements. The employees were: George Eristavi, Solomon Dodashvili, Thaddeus Guramishvili, and other representatives of the Georgian literary circles in the 19th century.

Under Dodashvili, the *Literary Section of Tiflis Messages* became, despite severe censorship, an "island of freedom": through allegory, fable, and coded allusion, it quietly articulated Georgian protest and stubborn resilience, preserving national

discourse within constrained public space. It trained and formed the national movement with its publications. It tried to strengthen the patriotic spark in its Georgian readers. Thaddeus Guramishvili's "Beloved Homeland", George Eristavi's "Call for Protecting the Homeland," and others published in the magazine undoubtedly serve as examples. The publications conveyed attachment to the homeland, a sustained aspiration for greater freedom or independence, and a pronounced emphasis on preserving language and history. They carried literary works and critical essays marked by national sentiment and patriotic concern at a time when Georgia's autonomy was severely curtailed under Russian administration.

Literary Section of Tiflis Messages rarely publishes purely analytical writings, but this does not detract much from its literary merits. This magazine published literary works and critical writings, in which the national spirit and patriotism dominated, while Georgia was divided into two provinces under Russian oppression. While the newspaper did not openly call for revolt, Dodashvili and many contributors helped articulate and circulate the intellectual premises of national self-assertion—cultural revival, language reform, and civic education—that later underpinned the 1832 conspirators' aims. In this respect, the paper contributed to the intellectual groundwork of Georgia's nineteenth-century national movement. They instilled in future generations a love for their country, an insatiable desire to fight against slavery, and gave them hope for creating a better Georgia—free, independent, and prosperous. The nineteenth-century Georgian intelligentsia, typified by Solomon Dodashvili, worked tirelessly to keep alive the idea of freedom—valuing a free press, personal liberty, and patriotism as enduring principles.

ლიტერატურული ჟურნალის „ტფილისის უწყებანი“ პოლიტიკური მისია

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, იმპერია, შეთქმულება,
„ტფილისის უწყებანი“, გაზეთი, ჟურნალი,
კავკასია, სოლომონ დოდაშვილი

შესავალი

„ტფილისის უწყებანი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. იგი იმ წარსულის მემკვიდრედ გვევლინება, მძიმე პოლიტიკურ ვითარებას რომ უკავშირდება ქვეყანაში.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს სახით მყარი დასაყრდენი შეექმნა კავკასიის რეგიონში. ყოველდღიურად ინგრეოდა მითი კეთილი, ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის თაობაზე, რომლის მხარდაჭერის იმედიც უნდა ჰქონოდა პატარა ქვეყანას. რუსი თუ გარუსებული ჩინოვნიკები არ გამოირჩეოდნენ განათლებულობითა და განსწავლულობით. უმეტესად, გალოთებულ და უნიჭო მოხელეებს გზავნიდა იმპერია, რომელთაც ნაკლებად აწუხებდათ ქართველი ხალხის ბედი ან ქვეყნის განვითარებაზე ფიქრი. მათი საქართველოში ჩამოსვლის ძირითადი მიზანი იყო გამდიდრება და მომხვეჭელობა. შესაბამისად, მექრთამეობა, საზინის ქურდობა, ჯაშუშობა, მოსახლეობის ძარცვა მათი საკმეიანობის წარმმართველი ტენდენცია გახდა. შევიწროებული და დათრგუნული მოსახლეობა იძულებული იყო მუდმივად თავის

გადარჩენაზე ეფიქრა, საამისოდ ღირსეული გამოსავალის პოვნა კი ჭირდა. გარდაუვალი შეიქნა შეჭირვებულთა მორალური დეგრადირება, მნიშვნელოვნად შეირყვნა ზნეობა. ამის თაობაზე უცხოეთში განათლებამიღებული და საქართველოში დაბრუნებული დიდი ქართველი ფილოსოფოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოს-თეორეტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი წერდა: „ვერცა ერთსა ვიხილავ თანამემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად... არა მოყვარენი არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევილად მდგომარეობენ. მზად არიან ვნებისათვის რომელისამე პირისა უბედურებისათვის და სხვათა“.¹ ეს სიტყვები ცხადყოფს მოსახლეობის უმეტესობის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი. ჩამოშლილი, გაქრობის პირას მისული ეროვნული ინტერესებია დიდი ქართველი მამულიშვილის საწუხარი.

იმჟამინდელი სავალალო ვითარების შეფასებას ვხვდებით ილია ჭავჭავაძის წერილებშიც: „მეთვრამეტე საუკუნის ვაივაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯვამ ჩვენი ერი მოჰდალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩა და თითქმის ხმაამოუღებელივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას“.² ამ სიტყვებიდანაც თვალსაჩინოვდება ქვეყნის მაშინდელი ეროვნული და მორალური რეგრესი.

რუსეთიდან წარმოგზავნილი მოხელეების ამოცანა და პირდაპირი მიზანი იყო ერთ ორგანიზმად გააერთიანებინათ კავკასია და რუსეთი. ძალას არ

იშურებდნენ, რომ მოსახლეობას რუსულად ელაპარაკა და ეაზროვნა.

ასეთ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში დაიბადა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. მისი დაარსების იდეა, ლოკუმენტების თანახმად, მთავარმართებელ ივანე პასკევიჩს ეკუთვნის.³ იმპერატორის კარზე მთავარმართებლის მიერ გაგზავნილ წერილებში გაზეთის არსებობის აუცილებლობა და მისი გამოცემის სასიკეთო მხარეები იყო გახაზული. პასკევიჩის თქმით, ეს გაზეთი პოლიტიკური განცხადებებისგან დაცლილი უნდა ყოფილიყო; მაგრამ, ცხადია, მისი ფარული გეგმა სულ სხვაგვარ მიზანს ისახავდა: გამოცემა უნდა გამხდარიყო საუკეთესო იდეოლოგიური საშუალება, რომელიც რუსეთს დაეხმარებოდა ქართველი მკითხველის გულის მოგებაში, ხელს შეუწყობდა კავკასიის რუსიფიკაციას. რეალურად, ეს გამოცემა იგეგმებოდა, როგორც ქართველი მოსახლეობის ტვინის გამოსარეცხი იდეოლოგიური მექანიზმი. ამავე დროს, გაზეთის წვლილს მთლად ნეგატიურადაც ვერ შევაფასებთ, რადგან მან განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობის პერიოდში.

„ტფილისის უწყებანის“ უპირველესი მისია ირან-თურქეთის ომის პერიოდის სიახლეებისა და ამბების მკითხველისთვის გაცნობა უნდა ყოფილიყო, რაც შეამცირებდა იმ ცრუ ინფორმაციის⁴ რაოდენობას, რაც მოსახლეობაში ვრცელდებოდა და მღელვარებას იწვევდა. ნიკოლოზ I-ის მიერ გაცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ: „უმაღლესად ვამტკიცებ ბ-ნი მთავარმართებლის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომ ტფილისში დაარსებული პერიოდული გამოცემა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან და მასში უნდა დაიბეჭდოს ოფიციალური ცნობები, სხვადასხვა

ხასიათის განცხადებები, ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით საინტერესო ახალი ამბები და მთავრობის შეხედულებებთან თანხვედრილი ყოველგვარი მასალა“.⁵

1828 წლის ოთხ აპრილს გაერცეულა განცხადება, რომელშიც ითქვა, რომ თბილისში ფუძნდებოდა ყოველკვირეული რუსული გაზეთი „ტიფლისსკიე ვედომოსტი“. გაზეთ „ტიფლისის უწყებანის“ პირველი ნომერი ზუსტად სამი თვის თავზე, 1828 წლის ოთხ ივლისს გამოვიდა. პირველი ქართული გაზეთის – „ქართული გაზეთის“ ანალოგიურად, მას ჰქონდა თემატური დაყოფა:

1. უმაღლესი ბრძანებები;
2. შიდა ცნობები რუსეთსა და კავკასიაში;
3. საზღვარგარეთის ახალი ამბები;
4. „აწინდელი დროის ისტორია“;
5. ბიბლიოგრაფია;
6. განცხადება: კერძო და სახელმწიფო;
7. სავალუტო კურსი თბილისში;
8. მხატვრული ნაწილი.

გაზეთ „ტიფლისის უწყებანის“ ცენტრალური კომისიის წევრები იყვნენ: ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, პოდპოლკოვნიკი ბებუთოვი, შტაბსკაპიტანი სუმბათაშვილი, პორუჩიკი ჭილაშვილი, პავლე სანკოვსკი და სოლომონ დოდაშვილი. ცენზორი იყო გენერალი ნიკოლოზ სიპიაგინი, რომელიც 1817-1819 წლებში ხელმძღვანელობდა რუსულ სამხედრო ჟურნალს.

გაზეთის თავდაპირველი ტირაჟი 1200 ეგზემპლარი, შემდეგ 1500-მდე გაიზარდა; მაგრამ მალე „ტიფლისის უწყებანიც“ ისეთივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, როგორც „ქართული გაზეთი“ – ხელმომწერთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო: 1829 წელს მხოლოდ 40

ხელმოწერა შეგროვდა, 1831 წელს კი – ოციოდე, რის გამოც იმ წელს გაზეთის არც ერთი ნომერი გამოსულა.

„ტიფლისსკიე ვედომოსტისა“ და „ტიფლისის უწყებანის“ გაერთიანებულ რედაქციას წარმოშობით უკრაინელი ლიტერატორი და ჟურნალისტი პავლე სანკოვსკი რედაქტორობდა. იგი გარკვეულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ისტორიისა და ტრადიციების შესახებ მასალების გამოქვეყნებას. გაზეთის ფურცლებზე შემოინახა თბილისის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების აღწერა. ასევე, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსების ათვისების, მეაბრეშუმეობის დანერგვის, რუსეთში სასწავლებლად ახალგაზრდობის გაგზავნისა და სხვა საკითხების ამსახველი მასალები. ამასთან, ქვეყნდებოდა აშკარად პროპაგანდისტული მასალებიც, სადაც ხდებოდა რუსი სამხედროების შესაძლებლობათა ჰიპერბოლიზება. იწერებოდა ქართველთა მეომრული თავგადასავლების თაობაზეც, მაგრამ იმის აქცენტირებით, თუ როგორი მარტონი და დაუცველნი ვიყავით ამ ომებში. ვითარებას იმგვარად წარმოაჩენდნენ, თითქოსდა ახლა რუსების წყალობით საქართველო უფრო დაცული იყო გარეშე მტრისგან.

სოლომონ დოდაშვილმა შესძლო „ტიფლისსკიე ვედომოსტისგან“ „ტიფლისის უწყებანის“ განცალკევება და უფრო თავისუფალი და ქართული ელფერი შესძინა. აქედან მოყოლებული, მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებიც. მაგალითად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე გაზეთი წერდა, რომ მას, ჰომეროსისგან განსხვავებით, არა აქვს ისეთი სახელი და დიდება, როგორსაც იმსახურებს. ის ფაქტიც უთუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს, რომ გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განათლების

საკითხების გაშუქებასა და მისი როლის ზრდას XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში.

საზოგადოების გულგრილობის შედეგად, ხელმომწერთა ნაკლებობის გამო, „ტფილისის უწყებანმა“ არსებობა შეწყვიტა 1832 წლის სექტემბერში.

„სალიტერატურო ნაწილნი
ტფილისის უწყებათანი“

1832 წლის შეთქმულების⁶ წინარე პერიოდში შეთქმულთა ჯგუფს კარგად ჰქონდა გააზრებული პრესის დანიშნულება, არსი და ძალა. იმავე პერიოდში საქართველოში ახლადდაბრუნებულმა სოლომონ დოდაშვილმა აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. პირველ ყოვლისა, ცდილობდა ქართული პრესის განვითარებას. რასაკვირველია, შეთქმულთათვის ნებისმიერი პერიოდული გამოცემა ხელსაყრელი იქნებოდა.

1830 წელს სოლომონ დოდაშვილს პარტნიორობა შესთავაზეს შეთქმულების მეთაურებმა, ალექსანდრე ორბელიანმა და ელიზბარ ერისთავმა. ელიზბარი ყველანაირ დახმარებას ჰპირდებოდა სოლომონს: „მე გიშოვი შენ ხელისმომწერლებს, შენ კი გამოითხოვე ნებართვა ჟურნალის გამოსაცემად და ვეცადოთ, გავანათლოთ ქართველები, რათა ამათაც, როდისმე პოლონელების მსგავსად, რუსებისგან განთავისუფლება იფიქრონ და წამიყვანა ალექსანდრე ორბელიანთან, რომელმაც, აგრეთვე, მოხოვა ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა“;⁷ ასე იხსენებდა სოლომონ დოდაშვილი პერიოდული გამოცემის ინიციატორებს. „ტფილისის უწყებანის“ ქართული ვარიანტის ორკვირეული ლიტერატურული დამატება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1821 წლის იანვარში გამოვიდა.

სულ 6 ნომერი გამოიცა.⁸ ჩვენამდე მხოლოდ ხუთმა ნომერმა მოაღწია.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ პირველ ქართულ ჟურნალად ითვლება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო სოლომონ დოდაშვილი. გამოცემა ბეჭდავდა ლექსებს, თარგმანებს, მასალებს ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, პუბლიკაციებს აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ, განცხადებებს. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორც იყვნენ: გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, თადეოზ გურამიშვილი⁹ და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

შეფიცულებთან ერთად, რუსულ აგრესიასა და ანექსიას ღირსეულად ებრძოდა ქართული პრესაც. „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ უმძიმესი ცენზურის პირობებშიც ახერხებდა ყოფილიყო „თავისუფლების კუნძული“. შეფარვით, ქვეტექსტურად, ეხოპეს ენით გამხატავდა ქართველი ხალხის პროტესტსა და დაუმორჩილებლობას. თავისი პუბლიკაციებით ეროვნულ მოძრაობას წვრთნიდა და აყალიბებდა, თავის მკითხველებში პატრიოტული მუხტის გაძლიერებას ცდილობდა. ნიმუშად უთუოდ გამოდგება ჟურნალში გამოქვეყნებული თადეოზ გურამიშვილის „საყვარელო მამულო!“, გიორგი ერისთავის „მოწოდება მამულის დაცვისათვის“ და მისთ. პუბლიკაციებში გამოსჭვიოდა სამშობლოს სიყვარული, ერის სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ენისა და ისტორიის შენარჩუნების უდიდესი მნიშვნელობა და საამისო მცდელობა. იმდროინდელი ინტელიგენცია, რომლის ტიპური წარმომადგენელიც იყო სოლომონ დოდაშვილი,

ძალას არ იშურებდა, რომ ერში არ ჩამკვდარიყო იდეა თავისუფლებისა, თავისუფალი პრესის, პიროვნების თავისუფლების, მამულიშვილობის, როგორც მარადიული ფასეულობის განცდა, დაცვა და გაფრთხილება.

საგულისხმოა 1932 წლის შეთქმულების შეფასება პროფესორ-ისტორიკოსის, მიხეილ პოლიეჟქტოვის¹⁰ მიერ, რომელიც შეთქმულთა უმთავრეს მისიად ქართველი ხალხის „მორალურ განახლებას“ მიიჩნევდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ შეთქმულთა ეს გაერთიანება იყო ყველაზე მასშტაბური და თანასწორი: შეთქმულები არ იყვნენ დაყოფილნი წოდებებისა თუ გავლენების მიხედვით. ამის დასტურია არათავადური წარმოშობის სოლომონ დოდაშვილი, რომელიც შეთქმულების „მამად“ მოიხსენიება. აგრეთვე, შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი იყო ბერი ფილადელფოს კიკნაძე, რომელიც შეთქმულების დამარცხების შემდეგ დოდაშვილთან ერთად გადაასახლეს ვიატკაში.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ „რუსეთზე გალაშქრების“ იდეა შუაგულ რუსეთში დაიბადა, ქართველ თავადაზნაურთა წრეში, ევროპული განათლების მისაღებად რუსეთს გამგზავრებულ „თერგდალეულებში“.¹¹ შეთქმულების მეთაურები კი იყვნენ ევროპულ აზროვნებას ნაზიარები, რუსეთში იძულებით გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები, ერეკლე II-ს შვილიშვილები – დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონი (1803-1845) და ოქროპირ გიორგი XII-ს ძე (1795-1857).¹²

სოლომონ დოდაშვილი, აჯანყების მეთაურობის პარალელურად, მაშინდელი ინტელიგენციის, განსწავლული საზოგადოების ლიდერიც იყო. ამიტომ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

უმკაცრესი ცენზურის პირობებშიც ახერხებდა შეფარვით გაეგრძელებინა ისეთი გზავნილები, პირდაპირ სამსახურს რომ უწევდა 1832 წლის შეთქმულებას.

ჟურნალის ყოველ ნომერს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები:

1. სიტყვიერება;
2. აღმოსავლეთის ლიტერატურა;
3. სტიხოთ ქმნილება;
4. პოემა;
5. ქართული ისტორია;
6. კრიტიკა;
7. აღგებორია.

საგულისხმო და ნიშანდობლივი ფაქტია, რომ შეთქმულების ჩაშლის შემდეგ რუსეთის იმპერატორი და მთავარმართებელი როზენი ცდილობდნენ აჯანყების მნიშვნელობისა და მასშტაბის დამცრობას. განსაკუთრებით, როზენი, რომელიც საკუთარი უსუსურობისა და გულუბრყვილობის მიჩქმალვას ესწრაფვოდა, ირწმუნებოდა, ბოროტმოქმედ დოდაშვილს არაფერი გაუვრცელებია ისეთი, რაც შეფიცულთ წაადგებოდათ: „სოლომონ დოდაევი ბოროტგანმზრახველთა წინადადებით შეუდგა ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემას, რათა იქ თავისუფალი აზრების გამომხატველი თხზულებები ებეჭდა აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად. თუმცა, სინამდვილეში ასეთი თხზულებები იქ არ დაბეჭდილა“.¹³ მეგარი აბსურდული მტკიცებით, როზენი, ცხადია, საკუთარი ტავისა და ღირსების დაცვას ცდილობდა და, უნებლიედ, საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა: თუ სოლომონ დოდაშვილს „მსგავსი არაფერი დაუბეჭდავს“, როგორც როზენი ირწმუნება, რაღატომ გადაასახლეს ციმბირში, ან

თავადვე რატომ მოიხსენიებს მას „ბოროტმოქმედ დოდაშვილად“?14 უცნაური ლოგიკაა...

ისტორიკოსი პროფ. დიმიტრი შველიძე ამბობს⁸, რომ რუსეთმა 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობაც თავისებურად გააყალბა და მასშტაბურობა დაუწუნა. გაყალბების პროპაგანდას ეწეოდა შემდგომში სტალინიც, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ამ შეთქმულებას არანაირი ისტორიული ღირებულება არ ქონია. ზოგიერთები რუსეთში ამას მხოლოდ ახალგაზრდა დიდგვაროვანთა რომანტიულ გატაცებად მიიჩნევდა. მთავარმართებელი გრიგოლ როზენი (1782-1841), რომელსაც სამოქალაქო საკითხთა და სასახლერო საქმეთა მართვა ევალებოდა, ნიკოლოზ I-ს სწერდა, აჯანყებაში მხოლოდ რამდენიმე თავადი მონაწილეობდაო. რუსული დემაგოგიის საპირისპიროდ, პროფ. დიმიტრი შველიძემ თავის საჯარო ლექციაზე ბრძანა, რომ „ეს იყო ყველაზე მასშტაბური აჯანყება, რომელიც შვიდი წელი მზადდებოდა“.¹⁵

ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ პოლიტიკურ როლთან ერთად, მას დიდი ჟურნალისტური ხიბლიც, ლიტერატული დამსახურებანიც გააჩნდა. იგი ერთგვარ „თავისუფლების კუნძულს“ ქმნიდა მტრისგან დაჩაგრულ, ანექსირებულ საქართველოში. სოლომონ დოდაშვილი დიდად ზრუნავდა, ხშირად წერდა და მკითხველს მოუწოდებდა ჟურნალის გამოცემის საკითხში ეაქტიურა, მაგრამ ამოდ... შედეგი არ ჩანდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მხოლოდ ოთხმოციოდე ხელმომწერი შეგროვდა. „თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია. როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესეთი სასარგებლო საქმე“,¹⁶ სწერდა სოლომონ დოდაშვილი ფილადელფოს კიკნაძეს.

დიდია სოლომონ დოდაშვილის დვაწლი ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეშიც.¹⁷ იგი იბრძოდა ჟურნალისტური ენის, ტექსტის გამრავალფეროვნება-გამდიდრებისთვის; ქვეყნის უფლებების, მისი დამოუკიდებლობისა და მოსახლეობაში ეროვნული და სულიერი თვითშეგნების ამაღლებისათვის. სოლომონი თავისი ჟურნალის ფურცლებიდან კიცხავდა და აკრიტიკებდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც „მონობაში შვება იგრძნო“ და პესიმიზმს დანებდა საკუთარი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ნაცვლად.¹⁸

ჟურნალის რედაქციას ჰქონდა შემოქმედებითი წრე, სადაც განიხილებოდა გამოქვეყნებული მასალების ლიტერატურული ღირებულება თუ სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ასე განიხილეს, მაგალითად, იოსებ მამაცაშვილის (1809-1874) „მამულის სიყვარული“. ამ ჟურნალის თითოეული ნომერი დღესაც მოწონებას იმსახურებს თანამედროვე მკითხველის თვალთახედვით, გამოირჩევა მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, კულტურით, მრავალფეროვანი შინაარსით.

უსახსრობის გამო ჟურნალს არ ჰყავდა ბევრი თანამშრომელი (ჩვენამდე სულ შვიდი ადამიანის სახელმა მოაღწია), რის გამოც, მთელი სიმძიმე რედაქტორ-გამომცემლის, სოლომონ დოდაშვილის მხრებზე გადადიოდა. იგი განსაკუთრებით განიცდიდა ქართული სალიტერატურო ენის ბარბარიზმებით დაბუნძურების მზარდ ტენდენციას. დარდობდა, რომ ძალიან ბევრი რუსული და სპარსული სიტყვა შეერია დედა ენას, რაც ჩვენს უნიკალურ, უმდიდრეს ქართულს აკნინებდა. წუხდა, რომ მის ნალოლიავე ჟურნალშიც კი არცთუიშვიათი იყო ბარბარიზმები: „პოხოდი“, „ვოენნი“, „სვოდნი“, „ლიტეინი“, „კარტინა“, „რუმკა“, „დროშკა“, „სტოლი“ და

სსგ. ამაზეც ბევრს წერდა. ქართული ჟურნალისტური ენისა და სტილის განვითარების კუთხით, გამორჩეულია ჟურნალის მეხუთე ნომერი. ვფიქრობ, ამ გამოცემას რომ დიდხანს ეარსება სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით, ბევრად მეტის გაკეთებას შეძლებდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და ქართული პრესის განვითარების კუთხით. სამწუხაროდ, ხელმომწერთა და ავტორთა სიმცირეს შეიწირა „სალიტერატურო ნაწილი“.¹⁹

სამყარო მუდმივად იცვლება, თუმცა, არა ყოველთვის უკეთესობისკენ. დღევანდელი ქართული პრესა რადიკალურად განსხვავდება ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთებისგან. მას, დიდწილად, დაკარგული აქვს ეროვნული მისია. ამასთან, თანამედროვე მედია, სამწუხაროდ, პოლარიზებულია. საზოგადოების გამთლიანების, ერთ მუშტად შეკვრის ხელშეწყობის ნაცვლად, პირიქით, დაპირისპირებისა და საზოგადოების გათიშვის, გათითოვების მაპროვოცირებლადაც კი გვევლინება არცთუიშვიათად.

ვერც პირველი ქართული ჟურნალის ლიტერატურულ ღირსებებთან შედარებას გაუძლებს, ჩემი აზრით, თანამედროვე ჟურნალისტური პროდუქცია, ვერც ენის სიწმინდისა და ვერც – პუბლიცისტური სიღრმის, მოვლენათა კომპეტენტური ანალიზის თვალსაზრისით. არადა, ამჟამადაც ანალოგიური პრობლემების წინაშე ვდგავართ: ორასწლიანი ოკუპანტი და მოძალადე რუსეთი, ქართული ტერიტორიების 20% დაპყრობილი, უიმედობაში ჩავარდნილი და დაქსაქსული ქართული საზოგადოება, რომლის უდიდესი ნაწილი ისეთ მატერიალურ შეჭირვებას განიცდის, თავისა და ოჯახის ფიზიკური გადარჩენის გარდა, ვედარაფერზე ფიქრობს. სოლომონ დოდაშვილის საწუხარისა არ იყოს, დღესაც

არაერთი ფიქრობს მხოლოდ ფულისა და ძალაუფლების მოხვეჭაზე, ნებისმიერი გზით. დღევანდელი ქართული მედია დიდწილად ყვითელია. ძალზე იშვიათია ისეთი პუბლიკაცია ან გადაცემა, სადაც ქვეყნის წინსვლა, პროგრესია წარმმართველი პათოსი და საამისო ზრუნვითა თუ ფიქრით დაბეჭდილ-ტრანსლირებული.

არსებობის მეტად ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, პირველმა ქართულმა ჟურნალმა, „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, გაუძლო გამოცდას დროსა და სივრცეში. შეძლებს თუ ვერა თანამედროვე მედიაგამოცემათა დიდი უმრავლესობა იგივეს, საექვო და მტკივნეული კითხვაა, იმის მიუხედავად, რომ ძველი ქართული გამოცემებისგან განსხვავებით, დღევანდელი ქართული პრესა, ზოგადად, მედია, თავისუფალია, თავად ირჩევს სარედაქციო პოლიტიკას, მასალის ხარისხსა თუ შინაარსსა და ა.შ.

ჟურნალი „ლიტერატურულნი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ არცთუ მდიდარია წმინდა წყლის პუბლიცისტური წერილებით, მაგრამ ეს დიდად ვერ აკნინებს მის ლიტერატურულ ღირსებებს. აქ ქვეყნდებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები, კრიტიკული წერილები, სადაც ეროვნული სულისკვეთება, მამულიშვილური მრწამსი დომინირებდა. ამ ჟურნალის მეშვეობით სოლომონ დოდაშვილმაც და, ზოგადად, 1932 წლის შეთქმულების მონაწილეებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს იდეას და XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეულ ფუძემდებლებად იქცნენ. მათ გააღვივეს ახალგაზრდობაში მამულის სიყვარული, მონობის, დამპყრობლის წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლის, უკეთესი საქართველოს შექმნის იმედი და სულისკვეთება.

სტამბა

სოლომონ დოდაშვილისთვის „ტიფლისსკიე ვედომოსტისგან“ თავის დახსნისა და განცალკევების საუკეთესო საშუალება იქნებოდა დამოუკიდებელი ქართული სტამბა. თბილისში მაშინ სამხედრო სტამბაც არსებობდა, მაგრამ პერიოდული გამოცემის დაბეჭდვას ვერ შეძლებდა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სტამბა სიძველის გამო, თითქმის, ვედარც ფუნქციონირებდა. მოსკოვიდან ჩამოიტანეს სტამბის ახალი მოწყობილობები, რითაც გააუმჯობესეს ორივე საბეჭდი მანქანა და ქართულ-რუსული დაზგები დადგეს. სტამბის ხელმძღვანელი არარატოვი გახდა.

1828 წელს სტამბა ხუთი წლის ვადით „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ გადაეცა. დაზგა იმდენად გაუმჯობესდა, რომ გაზეთებთან ერთად, წიგნები, აფიშები, ჟურნალები, განცხადებები და ბარათებიც იბეჭდებოდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ, ფრანგულ, სომხურ, გერმანულ, სპარსულ და თათრულ ენებზე. ცხადია, ქართული გაზეთი აქ თავისუფალი ვერ იქნებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა სოლომონ დოდაშვილმა დამოუკიდებელი ქართული სტამბის შექმნა. იგი იმაზე სწუხდა, რომ ქართველები შევიწროებულნი იყვნენ თავისსავე ქვეყანაში. რუსეთში მყოფ იონა ხელაშვილს სოლომონი გულდაწყვეტით სწერდა: „თბილისში ყოველი შეძლებული კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუსიცა, სომეხიცა, ხოლო ქართველები ვართ დაშთომილნი. გარნა სხვათათანა მეც გამოვითხოვე სახელმწიფო ადგილი მთავარმართებლის სასახლის სიახლოვეს... უკეთუ იქნებით თქვენ, ავაშენებ სახლებს და დუქნებს, რომელთაგან ფრიად მრავალი შემოსავალი ექნებათ... თუ შემეწევით ხვასტაგითა, რომელსაც ოთხსა წელსა ერთ-

ორად აღვადგენთ და დავსდებ დანიშნულებისამებრ თქვენისა ადგილისა... ესრეთითა ხატითა მიმისავალთა განმრავლების ბეჭდანი წიგნთანი“.²⁰ სოლომონ დოდაშვილის განზრახვა, ცხადია, საკეთილდღეო იყო ქართველი ერისათვის. იონა ხელაშვილმა მას სამასი მანეთი გამოუგზავნა. 1831 წელს სოლომონმა იონას შეატყობინა, რომ სტამბა გამართა კარგი ქართული ასოებით. ოღონდ, გაურკვეველია, დამოუკიდებელი ქართული სტამბის შექმნას გულისხმობდა თუ ძველი ქართული სტამბის განახლებას.

შეთქმულთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დამოუკიდებელი ქართული სტამბის შექმნა იყო, ვინაიდან სწორედ ის მოამზადებდა ღიად და თავისუფლად 1832 წლის აჯანყებისათვის საჭირო მუხტს.²¹ ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, სოლომონს რუსეთიდან თავისი მეგობრის, გიორგი პაიჭაძის ჩამოყვანა სურდა. „ტფილისის უწყებანის“ 1829 წლის მე-10 ნომერში დოდაშვილი ქართულ საზოგადოებას მხარდაჭერას სთხოვდა, რათა დამოუკიდებელი ქართული გამოცემა შეექმნა, გამოეცა ქართული სახელმძღვანელოები, რაც ერში განათლების პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს. დამოუკიდებელი ქართული გამოცემის იდეა განუხორციელებელი დარჩა, ისევე, როგორც 1832 წლის შეთქმულება ვერ მივიდა ბოლომდე.²²

ცნობა

იმპერიისთვის ყველასა და ყველაფრის კონტროლი მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. რეჟიმს არ უნდა გამოპარვოდა არცერთი სტატია, მოთხრობა თუ განცხადება, სადაც თუნდაც ირიბად

იქნებოდა დაკნინებული რუსული კოლონიზატორული იდეები.

რუსეთის იმპერიაში თავისუფალი აზრის, სიტყვისა თუ ქმედების დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა დეკაბრისტთა აჯანყების შემდეგ. ხელისუფლება მისთვის მიუღებელი ნებისმიერი ქმედებისა თუ განზრახვის პრევენციას ცდილობდა, რამაც განსაკუთრებით მკაცრი ცენზურა მოიტანა შედეგად. გრაფმა ბენკენდორფმა და განათლების მინისტრმა შიშკოვმა შეიმუშავეს 230-პუნქტიანი საცენზურო წესდება, რომელიც, წინასთან შედარებით, ბევრად მკაცრი იყო. ცენზურას სამოქალაქო ან სამხედრო გუბერნატორები აწარმოებდნენ: თბილისში 1827-1828 წწ. სიპაგინი და ხოვენი, 1828-1832 წწ. სტრეკალოვი და ზავილეისკი, ხოლო 1832 წელს პანკრატოევი და ნიკო ფალავანდიშვილი (იესე ფალავანდიშვილის ძმა და შეთქმულების ერთ-ერთი გამცემი). იგი სამოქალაქო გუბერნატორი იყო და როგორც იხსენებდა, გაზეთები წარუდგინეს ცენზურისათვის, რაზეც უარი განაცხადა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ეს სამხედრო გუბერნატორის მოვალეობა იყო.²³

რუსეთის იმპერიაში გამომავალ ნებისმიერ გაზეთს ბოლოში თანდართული ჰქონდა წარწერა: „ნებართულ არს დაბეჭდულად“, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაზეთის ნომერმა უმკაცრესი ცენზურა წარმატებით გაიარა.²⁴ XIX საუკუნეში დაწყებული პრესის ანტიდემოკრატიული კონტროლი, საბჭოთა რუსეთმა XX საუკუნეში განაგრძო.²⁵ ლამის, 160 წელიწადი დასჭირდა საქართველოს, რომ ერთმორწმუნე ოკუპანტისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა ნომინალურად მაინც მოეპოვებინა და ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოდ ეცნო საერთაშორისო თანამეგობრობას. მთავლიტთან ქართველ

პატრიოტთა ჭიდილი არაერთ სახალისო ამბად შემორჩა ჩვენს ისტორიას.²⁶ თუმცა აღარ არსებობს რუსული საიმპერატორო თუ საბჭოთა ცენზურული მექანიზმები, ბრძოლა დღემდე გრძელდება დეზინფორმაციისა²⁷ და საინფორმაციო ომის სახით.

დასკვნა

მოცემული გამოკვლევა მიზნად ისახავდა „ტფილისის უწყებანის“ ორმაგი ხასიათის წარმოჩენას: იგი ერთდროულად იყო იმპერიული პოლიტიკის ინსტრუმენტი და კულტურული აღორძინების პლატფორმა. ერთი მხრივ, ეს პერიოდული გამოცემა რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის მიზანთა დანერგვა-გატარებას ემსახურებოდა, მეორე მხრივ კი, ახალი ქართული საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკურ გზაჯვარედინზე გაყვანის მისიას განახორციელებდა.

თავდაპირველად ცენზურის მკაცრი კონტროლის ქვეშ ბეჭდავდა მასალებს და ოფიციალურ ჩარჩოებში მოქმედებდა, რადგან „ტფილისსკიე ვედომოსტისა“ და „ტფილისის უწყებანის“ გაერთიანებულ რედაქციას ერთპიროვნულად რედაქტორობდა პავლე სანკოვსკი. იგი გულმოდგინედ ასრულებდა იმპერიალისტური მეგაზეთისთვის დაკისრებულ დავალებას – კავკასიის, კონკრეტულად, საქართველოს, ინტეგრირებას სანქტ-პეტერბურგის პოლიტიკურ და კულტურულ ორბიტაზე. სანკოვსკი ჩინოვნიკური გულმოდგინებით აღასრულებდა ორივე გაზეთის ფურცლებზე

ადმინისტრაციულ დანიშნულებას: აგრცელებდა რუსულ პოლიტიკას, ცდილობდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების პროეცირებას, ახალისებდა ყოველივე ქართულის გადაკეთება-მისადაგებას „მფარველის“ ენობრივ და კოგნიტურ ნორმებთან.

თუმცა, დოდაშვილის მოხვლით რადიკალურად შეტრიალდა ორი გაზეთიდან ერთ-ერთის ბედი. სოლომონის რედაქტორობამ „ტფილისის უწყებანის“ პოლიტიკაცა და დანიშნულებაც ძირფესვიანად შეცვალა იმის მიუხედავად, რომ ცენზურა ძველებურად მკაცრი დარჩა, ხოლო რესურსები და თანამშრომლების რაოდენობის სიმწირე ძალზე ურთულებდა ეროვნული საქმის აღსრულებას გულმხურვალე მამულიშვილს. ერთგანზომილებიანი რუპორიდან, „ტფილისის უწყებანი“ მძლავრი პოლიტიკურ-ლიტერატურული დასაყრდენი გახდა ეროვნული იდენტობის აღორძინების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოთხოვნილების გაძლიერების საქმეში.

საკმარისი გამოდგა ერთი ისეთი საზოგადო მოღვაწის ხელში მოხვედრა, როგორც სოლომონ დოდაშვილი იყო, რათა პრორუსული გამოცემიდან „ტფილისის უწყებანი“ ჩამოყალიბებულყო ეროვნული დებატების საჯარო სივრცედ, სადაც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მსჯელობდნენ და კამათობდნენ მშობლიური ენის, განათლების, ისტორიის, მომავლისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე. ეს დუალობა (რუსული პროპაგანდა და ქართული დაუმორჩილებლობა ერთსა და იმავე

გაზეთში) წარმოადგენდა „ტფილისის უწყებანის“ უნიკალურ ბუნებას, რომელიც იდეალურად მოერგო 1832 წლის აჯანყებისთვის მზადებაში ჩართულ ქართველ პატრიოტთა პოლიტიკურ მიზნებს. სწორედ ამ ორმაგი ხასიათის გამო შექმლო დოდაშვილის გამოცემამ რუსული ცენზურისთვის თავგზის არევა და ქართული საქმის პირნათლად შესრულება.

ლიტერატურა □ References

1. გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832) – ლექცია II (2024). ჟურნალისტიკის ისტორია, ლაშა აბშილავა. Retrieved from <<https://www.scribd.com/document>>
2. ბაქრაძე აკაკი (2006). ილია ჭავჭავაძე. ილუსტრირებული ბიოგრაფიები, ტომი I, თბილისი: „პეგასი“.
3. ჯოლოგუა თამაზ (2013). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian), p. 227-230.
5. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ჯოლოგუა, 2013).
6. ქართველთა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მორიგი აჯანყების გეგმას „1832 წლის შეთქმულების“ სახელწოდება დაუმკვიდრდა. თუმცა, ისტორიული სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა შეთქმულება (ფარული მოლაპარაკება ვინმეს წინააღმდეგ სამოქმედოდ), არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მომზადებული აჯანყების მცდელობა (მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა ვინმეს წინააღმდეგ) იყო პროგრესულად მოაზროვნე, სამშობლოს დამპყრობლებისგან განთავისუფლების, წართმეული სახელმწიფოებრიობის დაბრუნების სურვილით ანთებული ქართველი პატრიოტებისა, რომელთა იდეური

ხელმძღვანელები იყვნენ რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები, დიმიტრი და ოქროპირი. მზადება 1826-1827 წლებში სანქტ-პეტერბურგში დაიწყო. 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულების გაცემის შემდეგ დაწყებული გამოძიების შედეგად, 145 „დამნაშავე“ დააპატიმრეს „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის“.

ირონია იყო ის ფაქტი, რომ სამშობლოს სახელმწიფოებრიობის დაბრუნებისთვის მებრძოლ მამულიშვილებს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყება ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობად ჩაუთვალეს.

ნიკოლოზ I-მა ქართველ პატიმრებს ჯერ სიკვდილი მიუსაჯა, მერე კი შეიწყალა. რუსეთის იმპერატორი მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ საქართველო საკუთარი ნებით შეუერთდა რუსეთს და რუსები საქართველოს დამპყრობლები კი არა, მფარველები იყვნენ. თანაც, იმპერატორი შეწყალებულ თავადაზნაურობაში საკუთარ დასაყრდენს ხედავდა სამომავლოდ. სასამართლო პროცესიდან რამდენიმე წელიწადში ყველა აჯანყებული სამშობლოში დაბრუნდა, სოლომონ დოდაშვილის გარდა, რომელიც 31 წლის ასაკში შორეულ ვიატკაში გარდაიცვალა. იხ.: 1832 წლის შეთქმულება (2017, February 9). მსოფლიო ისტორია <<https://worldhistory188.wordpress.com>>

7. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ჯოლოგუა, 2013).
8. ლორთქიფანიძე ი. (1984). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, გვ. 693.
9. თადეოზ გურამიშვილი იყო ილია ჭავჭავაძის სიმამრი, ოღლა გურამიშვილის მამა.
10. მიხეილ პოლიშჩუკოვი (1872-1942) – ქართველი ისტორიკოსი, არქეოგრაფი, კავკასიოლოგი. დაიბადა 1872 წლის 24 მარტს კალუგის გუბერნიაში. 1894 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლის დასრულების შემდეგ, რუსეთის ისტორიის კათედრაზე დატოვეს. შემდეგ საზღვარგარეთ მიავლინეს არქივებში სამუშაოდ. 1917 წელს აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად.

1920 წლიდან საქართველოში ცხოვრობდა და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. იკვლევდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. მისი პუბლიკაციები საყურადღებო მასალას შეიცავს თბილისის ისტორიაზე. მნიშვნელოვანია XII-XIX სს. კავკასიაში ევროპელი მოგზაურების შესახებ პოლიეპქტოვის ორ წიგნად გამოცემული საინფორმაციო ცნობარი. 1938 წელს გრიგოლ ნათაძესთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი „ძველი ტფილისი“ (თბილისი: „სახელგამი“). დამსახურება მიუძღვის 1832 წლის შეთქმულების ისტორიის საარქივო მასალების შეგროვებასა და ლენინგრადიდან თბილისში გადმოტანაში. მისი მეუღლე იყო ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1941), ქიმიკოსი რუსუდან ნიკოლაძე-პოლიეპქტოვი. გარდაიცვალა 1942 წლის 21 დეკემბერს. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე თბილისში. იხ.: <https://encyclopedia.tsu.ge/demo-webpage/ka/text/103/Polievktovi_Mikheil_Aleksandres_Dze>

11. 1832 წლის შეთქმულების წინაპირობები და მარცხი – ოთარ ჯანელიძის ლექცია (2022, June 29). TSU Library (YouTube). Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=xJ8LqmcKv_M>
12. სურგულაძე ა. (1980). ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. თბილისი.
13. გოზალიშვილი გ. (1935-1976). 1832 წლის შეთქმულება (ტომი 1-3). თბილისი.
14. რუსეთის მიერ გადაწერილი 1832 წლის შეთქმულების ისტორია – უცნობი ფაქტები რუბრიკაში „ეს იცოდით?“ (2022, October 21). ტელეკომპანია „იმედი“ / TV Imedi (YouTube). Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=OaeAj3RM0xE>>
15. გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე II – პროფ. დიმიტრი შველიძის ლექცია (2022, June 22). TSU Library (YouTube). Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=IVWXnIbWN8>>

16. კალანდაძე ა. (1986). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. თბილისი: „განათლება“.
17. პაპუაშვილი ნუგზარ (2023). სოლომონ დოდაშვილი: სარბიელი და მემკვიდრეობა. თბილისი: „კავკასიური სახლი“.
18. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (კალანდაძე, 1986).
19. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ჯოლოგუა, 2013).
20. სოლომონ დოდაშვილი – ტელეგადაცემა „ფრაგმენტი“ (2012, June 18). dagacemaepizodi (YouTube). Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=KqCUEgUIPOw&t=393s>>
21. 1832 წლის შეთქმულება (2016, October 19), ისტორიის დოკტორის აპოლონ თაბუაშვილის ლექცია. სილქნეტის საშინაო სკოლა / Silk School (YouTube). Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=M5DU5aL6MDo>>
22. ბარამია ლ. (1951). 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში. იხ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტომი XXIX, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 21-36.
23. 1832 წლის შეთქმულების მცდელობა (2014, December 13). ტელეკომპანია „ერთსულოვნება“ / TV religia (YouTube). Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=_249E7pYHYI>
24. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (კალანდაძე, 1986).
25. Nadare, M. (2023). Forerunners of Georgian film criticism in the face of censorship and law. *BRAMS*, 4(3/4), 107-123.
26. Bregadze, L. (2021). The adventure of an uncensored poem. *BRAMS*, 2(1/2), 16-24, 113-114.
27. Nadare, M. (2025). Disinformation in the digital media. *BRAMS*, 6(1), 99-131.